



გაზეთის ფასი:

ხელის-მოწერა მიიღება:

კოროგბა

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

თეფლისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მედიკო-
 შვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბეზუხოვის სახ-
 ლში.
 თეფლისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ ТИФЛИСЬ. ВЪ
 КОНТОРУ РЕДАКЦІИ ГРУЗИНСКОЙ ГАЗЕТЫ „ВРЕМЯ“.
 რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი **განცხადება**
 სხვა და სხვა ენებზე. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულო-
 ბრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

გაზეთით თეფლისში
 და გარეშე ადგილებში:
 ერთი წლისა — 7 მან.
 ნახევრის წლისა — 4 — 3 — 50 კაპ.
 სამის თვისა — 2 — 50 კაპ. — 2 —
 სალკე ერთი წლისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
 „დროება“ გამოდის ყვირაში ერთხელ, პარასკევობით.

განცხადება

გაზეთის „დროების“ გამომცემისათვის
 1868 წელში.

1868 წელს გაზეთი „დროება“ გამოიცემა იმავე პროგრამით, როგორც წარსულს
 წლებში გამოდიოდა და იმავე რედაქტორის და გამომცემლის ხელში.

ხელმოწერის ფასი:

გაზეთით თეფლისში და გარეშე ადგილებში:	გაუგზავნელათ:
ერთი წლისა	7 მანეთი — 6 მან.
ნახევრის წლისა	4 — — — 3 — 50 კაპ.
სამის თვისა	2 — 50 კაპ. 2 —

დროება გამოდის ყვირაში ერთხელ პარასკევობით.

ხელი მოიწერება:

თეფლისში „დროების“ რედაქციის კანტორაში მედიკო-შვილის და კამპ. სტამბაში, ხა-
 ნის ქუჩაზე, ბეზუხოვის სახლში.
 თეფლისის გარეშე მცხოვრებთა შეუძლიანთ მოითხოვონ ამ ადრესით: ВЪ ТИФЛИСЬ. ВЪ
 КОНТОРУ РЕДАКЦІИ ГРУЗИНСКОЙ ГАЗЕТЫ „ВРЕМЯ“.

შინაარსი:—მმართველობის განკარგულე-
 ბა. — რკინის გზა. — თეფლისი. პოლიტიკა: მი-
 შობილება საზოგადო. — შრანცია. საბერძნეთი. სალი-
 ტერატურა ნაწილი. ბიოგრაფიული ცხოვრება.
 პერსონობითი განცხადება. — მართლმადიდებლური წარმო-
 ღვნა. — შედეგად: ჩვენი ცხოვრების ქრონიკა.

ჩვენი ცხოვრების ქრონიკა.
 ჰაერის დაუღრმობა თეფლისში. — სა-
 ზოგადო ჰაერის გამოცემა. — იმერეთში ტყის
 შემოსება, მარისა და ნიკორცხის მოვარდნა.
 რა უნდა ქმნას იმერეთმა, რომ ახალს ჰა-
 ვას ცხოვრება შეათვისოს? თეფლისში ქარ-
 თველობის არარაობა. — უკიდურესი ყრი-
 ლობები და იმათი მოქმედების მოკლე
 განხილვა შარშან და წელსის. — უკიდურესი
 მნიშვნელობა. პლასტიკური და რეალუ-
 რი განათლება. პატრიოტიკური მეთოდი.

ამ წამად თეფლისის ჰავა მიემგზავნება ცუ-
 დი ხნის ყმაწვილსა, რომელიც ამ წამს
 კასკასებს და იმ წამს ტირის. დილას რომ
 მზეა, შუადღის უკან ცას დაეხვევა შავი
 ღრუბელი და გამოუშვებს წვიმა-თოვლსა.
 საღამო რომ მყუდროა, დილას ასეთი საშინე-
 ლი ცივი ქარი უბერავს, რომ კაცს თავიდან
 ფეხებამდის ხუთავს. მინც, ბატონო, საშინ-
 ლათ შეგვეცავლა ამინდი. ჩვენ მოხუცებულ-
 ლებს რომ ნეტარი დრო გვქონდა, ის აღარ
 არის. ჰავა საძაგლათ გაუფუჭდა და ამან მოგე-
 შალა ყველანი სულ იმ ცივი ქარის ბრალია,
 ბატონო! პარგა ხანა რაც ეს ქარი მოტყდა
 და მას აქეთ ჩვენს ნიადგზე არას გაუხარია:
 ხეხილი და სხვა მცენარეობა დასძრა, ნაყოფი
 გაუფუჭა: მე რომ უწინ გემოგანი ნაყოფი მა-
 სსოვს, იმისთანა აღარსად არის; ხილი დამ-
 ვადა, ზოგი სულაც გამწარდა; რაც მცენარე-
 რეს დაემართა, სულიერსაც რომ ის უბედუ-
 რება ეწია! სოფელ-თ პირუტყვს ედარ გაუხარ-
 ნია. თავის დღეში არ მოსწრებია კაცი ამ-
 დენს საქონლის ჭირსა! მრთელს არსებას ვე-
 ლარ იპოვით: სულიერი გინდათ, თუ უსუ-


მმართველობის განკარგულება.
 უმაღლესი ბრძანება კავკასიის ნამუსტინ-
 სის სამმართველოში:
 მისმა იმპერატორების დიდებულებამ თვის
 მყოფობის დროს პეტერბურგს იწება შემდე-
 გის ბრძანების გაცემა: ძველსი იქითისა და
 აქეთის მხარის სამსჯავრო დაწესებულებათა

ლო გინდათ ყველა დაზიანდა.

 პარგა ხნის კაცი გახლავარ, და ძალიან კარ-
 გათაც მახსოვს, მ-გალითად, იმერეთში რომ
 ქარი არ იყო, არც თოვლი მოდიოდა.
 ზაფხულში პაპანაქება სიცხე იდგა და ზამთარ-
 ში ველი ჰყვოდა. რასაკვირველია, რომ ამი-
 სთანა ჰავაში კაცს თბილი ტანსაცმელი არ
 დასჭირდებოდა; რაც ჰქონდა ტანზე, ისიც უნ-
 და გაეძრო სიგრილისთვის. ღამობარი სახლი
 რომ კიდევ ჰქონდა, რას გამოადგებოდა იმ
 დროს; ჯუჯრუტანებიანი ხის სახლი ყველას
 ემჯობინებოდა, რადგან ყოველის მხრით მომ-
 ბერავი სიო კაცს გრილათ ყოფნას შეაჩვენდა.
 ახლა, ბატონო, ხალხი გამარეულდა, მივინებულ-
 მა ცივმა ქარმა მოჰბერა. ის კი არა თუ, მა-
 შინვე მოეფიქრებინათ ჩვენებურებს თეფლისის
 ქეთიკირის ბუხრიანი სახლების კეთება. არა,
 შენც არ მომიკვდეთ! სიცივიმ რომ კანი აუ-
 წვა, იფიქრა ამის გამობობი ცეცხლია და
 დაუწყო ტყეს კაფვა: დაუგდო ცული, ბატონ-
 ნო, და სულ ერთიანათ მოატიტელა მთელი
 იმერეთი. ტყე რომ აღარ იყო ბარში, ჰაერსაც
 სინოტრევე დაეკარგა, სიცხემ გაახურდა და
 ეს გახურებული ჰაერი თოვლიან-მთების ცივს
 ჰაერს შეერია და ამან დაჰბადა ასეთი საშინე-
 ლი ხმელი ქარი, რომ მთელი ნაყოფიერება
 გაშრო და მოსწყლა. მს კიდევ არაფერი:
 ბარში რომ ტყე გასწყვა, მერე მთაში დაუწყ-
 ყეს ხეებს ჭრა და თითქმის მთებიც გაახრია-
 კეს. ახლა წვიმის დამქერი ტყე აღარსად
 არის; ამისგანა წვიმის წყლები ერთბაშათ ჩა-
 რბის მდინარეებში. ისინი უცერად აღიდგე-
 ბიან, კალბზე გადივიან ხოლმე და ნამუ-
 შევარი, ზოგი ღვარს მიაქვს, და ზოგს ქვიშა

შინა ცელილებს გამო 1868 წელს 14
 იანვარს. ღანიშნებთან პლადიმირის სამსჯავ-
 როს პროკურორის ელნიკოვი—სტატრო-
 პოლის სამაზრო სამსჯავროს პროკურორათ.
 პოდოლის გუბერნიის სამმართველოს სათე-
 მო განყოფილების სოვეტნიკი შიტკოვსკი
 ბაქას სამაზრო სამსჯავროს პროკურორათ.
 1868 წელს 18 იანვარს. ღანიშნებთან: ია-
 როსლავის პროკურორის ამხანაგი ძანატოვი
 თეფლისის სამაზრო სამსჯავროს პროკურო-
 რათ.
 1868 წელს 21 იანვარს. ღანიშნებთან:
 თეფლისის სამსჯავრო პალატის წევრებთან:
 დისტრიტელნი სტატსკი სოვეტნიკები; თე-
 ფლისის საკომერცო სამსჯავროს თავს მდგო-
 მარე თ. ანდრონიკა შვილი და ძველსი
 აქეთის სამიჯნაო პალატის უფროსი წევრი
 ლისოვსკი; სტატსკი სოვეტნიკები: თე-
 ფლისის სამსჯავროსა და სასამართლო პალა-
 ტის თავმჯდომარის თანამდებობის ამსრუ-
 ლებელი შერჭბიცი და შერგის სამაზრო
 სამსჯავროს თავმჯდომარე პოდოლიცი-
 ვი, ბაქას სამსჯავროსა და სასამართლოს
 თავმჯდომარის თანამდებობის ამსრულებე-
 ლი, კოლლეგსკი სოვეტნიკი პავლოვიჩი
 და თეფლისის სამსჯავროსა და სამმართვე-
 ლოს სოვეტნიკი კოლლეგსკი ასესორი
 სმიტტენი. თეფლისის სამაზრო სასამართ-
 ლოთა თავმჯდომარის ამხანაგები: თეფლი-
 სისა—2-სამიჯნაო კამისიის სამსჯავრო წევ-

რი, კოლლეგსკი ასესორი შორბოვსკი-
 ზარანევი. მანჯისა იქაური უფლის მოსა-
 მართლე, სტატსკი სოვეტნიკი ლემერმანი,
 სტატროპოლისა-სახელმწიფო კანტროლშიმო-
 სამსახურე ნადეორნი სოვეტნიკი ავერკიევი.
 სამაზრო სამსჯავროების წევრებთან: თეფლისი-
 სა-ძიევის სასამართლო პალატის თავს მდგო-
 მარის ამხანაგი რა შეტი, პეტერბურგის სა-
 მაზრო სამსჯავროსთან მდგომარე კანდიდატი
 სამსჯავრო თანამდებობაზე იუფეროვი;
 კოლლეგსკი სოვეტნიკები; თეფლისის სამსჯავ-
 როსა და სასამართლოს პალატის სოვეტნიკი
 ძუშინსკი, და იმავე პალატის წევრის
 თანამდებობის ამსრულებელი წინამძღვრი-
 შვილი და თეფლისის საკომერცო სასამარ-
 თლოს უფროსი წევრი, ნადეორნი სოვეტნი-
 კი ჯაყელი; მუთისისა: იუსტიციის სამინი-
 სტროსთან მდგომარე: კოლლეგსკი ასესო-
 რი ძავერაისკი, მდესის საქალაქო მთავ-
 რობის მეორე უჩასტკის მაძიებელი რაიკო,
 თეფლისის უწინდელის ბეგის კამისიის წევრი
 საქმის მწარმოებელი, კოლლეგსკი სოვეტნიკი
 შომინ-საგერელი, მუთისის გუბერნიის
 სამსჯავროს მრჩეველი, კოლლეგსკი სოვეტ-
 ნიკი შიმანსკი და მუთისის გუბერნიის
 პროკურორი, სტატსკი სოვეტნიკი საველო-
 ვი. მანჯისა: თეფლისის სამსჯავროსა და
 სასამართლოს პალატის მომხსენებელი სამ-
 სჯავრო საქმეთა თეფლისისა ტიტულიარნი
 სოვეტნიკი სმიტტენი და ბაქასი ტიტუ-
 ლიარნი სოვეტნიკი ტერლუკასოვი და წევრი
 ყი კაცია, მაგრამ სიამაყე კიდევ არაფერი, ეს
 ცოტაოდნა თვის დაფასებას მაინც ამტკი-
 ცებს, უბედურება ეს არის, რომ სიამაყესთან
 ტრაბახიც ძალიან იცის. სწორად მინახავს ხო-
 ლმე პატარა ქართველი ბიჭი, რომელიც ქვეშ
 პოქცევია მეორე ბიჭსა და არის გაძაგრული.
 ჰხედავ, რომ აღარაფერი არ შეუძლიან, ცემით
 თავიარს ამტერვს მეორე; მაგრამ არა, თავი-
 სას მაინც არ იშლის, იძახის: „ამიშვი, თორემ
 მოგკლავო“; საიდგან მოჰკლავ, რომ თვითონ
 შენ გკლავენ. ამ ყმაწვილისა არ იყოს, ახლა
 ყოველი ქართველი, რომელიც თეფლისში ჩა-
 მოსულა, დაუჩინო: „თეფლისი ჩვენი დედა
 ქალაქი არისო.“ მს იმასა ჰგავს რომ ბუზმა სო-
 როში დაიხამთრა, გაზაფხულს იქიდან თავი
 გამოჰყო და ყვირის: „ეს სორო ჩემი მონა-
 დეაწი ადგილ-სადგომიაო“. მრთი ჰკითხოს კა-
 ცმა, ჯერ თვითონ რა არის, რომ იმისი მო-
 ნადეაწი იყოს რამე. მართლმადიდებელი სხვა თე-
 ფლისის მცხოვრებლებში ისე ერევა, როგორც
 რორიოდ ბუზი უფთოკრების დასში; იმათს ცხო-
 ვრებაში ავიცა და კარგიც შეუწინააღი-
 ამისთვის თეფლისის მექრონიკე ისევე სხვა
 მცხოვრებლების ცხოვრებას უნდა აქცე-
 დეს ყურადღებას, და არა ქართველებისას,
 რომელიც ოდნათა არ ჩნდება.
 ამ წინასიტყვაობის შემდეგ ვიწყებ ჩემს ქრო-
 ნიკას. თეფლისი ამ ზამთარში ძალიან გაცო-
 ცხლებულია, ბალი, მასკარადები და ქორწი-
 ლები ზედის-ზედ იმართება. მთავრში წარმო-
 ღვნა: თითქმის დღე-ნაღამ არის; მაგრამ
 ის კი ნუ ჰგონიანთ, რომ ქართული წარმო-
 ღვნა სამჯერ მაინც ამ ზამთარში ყოფილ-იყოს:
 ჯერ ქართული ცხოვრება რა შეილია, რომ
 იმის სურათი რამე იყოს. ლეთის მადლით,



ქაშინის სამაზრო სამსჯავროსა შერგოლსკი; ბაქო: იქაური გუბერნიის პროკურორი, კოლლეჟსკი სოვეტნიკი პიგულევსკი, ტერეგის სამაზრო სამსჯავროს მრჩეველი, კოლლეჟსკი ასესორი პოლიტოვსკი, შუთაისის გუბერნიის საგლეხო სას.მართლოს წევრის-საქმის მწარმოებელი, ტიტულიარნი სოვეტნიკი შონ-შელკე და ბაქოს სამსჯავროს და სასამართლოს პალატის მომხსენებელი სამსჯავრო საქმეთა, კოლლეჟსკი სეკრეტარი სმიტენი, მრევნისა: იქაური გუბერნიის სამსჯავროს მრჩეველი, კოლლეჟსკი ასესორი ზისსერმანი, ტელავის უფლის მოსამართლე, კოლლეჟსკი სოვეტნიკი ვილიამოვსკი, ნუხის უფლის მოსამართლე, კოლლეჟსკი ასესორი მელიქ-ძარაჯოვი და VIII მაზრის გზის მკეთებელი მმართველობის სტოლონაჩლინი, ტიტულიარნი სოვეტნიკი ძალიტა. სტავროპოლისა: კოლლეჟსკი სოვეტნიკები: შტატს გარეთ მყოფი ჩეხოვსკი და ტფილისის გუბერნიის სამმართველოს მრჩეველი პესკოვი, ნადვარნი ჩოვეტნიკები: სტავროპოლის სამსჯავროსა და სასამართლოს პალატის მრჩეველი დემიანოვიჩი და სოკოლოვი, იმავე პალატის თავს მჯდომარის ამხანაგის თანამდებობის ამსრულებელი ტიტულიარნი სოვეტნიკი ლოგოვსკი.

გრაფი კავკასიის ნამსახურის სამმართველოში.

1866 წელსა უმაღლესად დამტიკებულის წესდებულების მოქმედებაში შეტანისაგან და 1864 წლის 20 ნოემბრის სამსჯავრო დებულების სახმარებლათ კავკასიის აქეთა მხარეში დაინიშნებინა: სპროკურორი ნაწილში: უნივერსიტეტის კანდიდატი ბაბარიკინი, მოსკოვის უნივერსიტეტის ნამდვილი სტუდენტი დემენტიევი, ტფილისის გუბერნიის სამმართველოსთან მდგომარე ნამდვილი სტუდენტი ბიბიკოვი—პროკურორების ამხანაგებთ: ტფილისისა—ბაბარიკინი და შუთაისის სამაზრო სამსჯავროსა—ბიბიკოვი.

მომრიგებელთა დაფასებათა შინა.

ტფილისის გუბერნიის შიდა ტფილისის ქალაქში: მომრიგებელ მოსამართლე-

ებთ 1-ლს განყოფილებაში შუთის უფლის მსაჯული, კოლლეჟსკი სეკრეტარი პოლტარაკი; მეორე განყოფილებაში—ძვეკასიის აქეთის სამიჯნო პალატის უმაღლესი წევრი, კოლლეჟსკი ასესორი შარაევი, და მამე განყოფილებისა, მეშვიდე სამიჯნო კამისის სამსჯავრო წევრი, ტიტულიარნი სოვეტნიკი წინამძღვრის შვილი.

მომრიგებელ მოსამართლეთა თანაშემწეებთ: 1-ლს განყოფილებაში,—კოლლეჟსკი სოვეტნიკი თ. ბებუთოვი, და ძვეკასიის აქეთა-მხარის სამიჯნო პალატის სეკრეტარი, გუბერნიის სეკრეტარი არლოვსკი; და 2-რე განყოფილებაში მოსკოვის უნივერსიტეტის ნამდვილი სტუდენტი მატინოვი.

ტფილისის უფლის შიდა: მომრიგებელ მოსამართლეთა ნადვარნი სოვეტნიკი პავლიევი; თანაშემწე—კოლლეჟსკი ასესორი ლოლობერიძე.

დუშეთის უფლის შიდა: მომრიგებელ მოსამართლეთა იქაური მირიანის პოსტენიკი შავკვიძე; თანაშემწე ტიტულიარნი სოვეტნიკი ტერ-სტეფანოვი.

ბორის უფლის შიდა: მომრიგებელ მოსამართლეთა ნადვარნი სოვეტნიკი ზუბალოვი; თანაშემწე კოლლეჟსკი ასესორი საენელი.

ახალციხის უფლის შიდა: მომრიგებელ მოსამართლეთა ნადვარნი სოვეტნიკი თ. მალაღვილი, თანაშემწე ტიტულიარნი სოვეტნიკი ძორღანოვი.

სიგნახის უფლის შიდა: მომრიგებელ მოსამართლეთა სიგნახის უფლის ნაჩლინი, კოლლეჟსკი ასესორი რუღანოვსკი; თანაშემწე ტელავისა და სიგნახის უფლის პროკურორი თ. ჩიქოვანი.

ტელავის უფლის შიდა: მომრიგებელ მოსამართლეთა ბორის უფლის მსაჯული ნადვარნი სოვეტნიკი შარაგოზიშვილი; თანაშემწე—კოლლეჟსკი სეკრეტარი ანდრონიკაშვილი.

მომრიგებელ მსაჯულთა თანაშემწეთა თანამდებობაზე კანდიდატებათ ტფილისის სამაზრო სამსჯავროსთან. პრავილენიაში კურს შესრულებული კოლლეჟსკი სეკრეტარი ბარბოვსკი-ზარანევი; უნივერსიტეტის კანდიდატი მენგულოვი; ნამდვილი სტუდენტი პოლტარაკი, ტფილისის სამსჯავრო პალატის ზასედატელი თ. ბარათაშვილი; ტელავის უფლის სასწავლებლის მასწავლებელი სერაფიმოვიჩი, ზიარის უფლის ზასედატელი შურცელაძე, სიგნახის უფლის სამმართველოს სეკრეტარი ზამრეკლოვი, შინის უფლის მირიანის პოსტენი-

კის კანდიდატი თულაშვილი. და კოლლეჟსკი რეგისტრატორი ხიშიშაშვილი.

შუთაისის გუბერნიის შიდა.

შ. შუთაისის: მომრიგებელ მოსამართლეთა—შუთაისის გუბერნიის სამმართველოს მრჩეველი ნადვარნი სოვეტნიკი თ. შირსთავი; თანაშემწე, კოლლეჟსკი ასესორი ბიორ. ლოლობერიძე.

შუთაისის უფლის შიდა: მომრიგებელ მოსამართლეთა ტიტულიარნი სოვეტნიკი ლუბიძოვი.

შორაპნის უფლის შიდა: მომრიგებელ მოსამართლეთა ტიტულიარნი სოვეტნიკი სლინკო; თანაშემწე გუბერნიის სეკრეტარი შიქლიევი.

რაჭის უფლის შიდა: მომრიგებელ მოსამართლეთა უნივერსიტეტის კანდიდატი შიფანი.

მ. შურაგეთის უფლის შიდა: მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობის ამსრულებლათ უფროსი ადვოკატი ძვეკასიის არმიის ტიტულიარნი სოვეტნიკი ბაქრაძე; თანაშემწე თანამდებობის ამსრულებელი ძვეკასიის ლინის № 24 ბატალიონის ადვოკატი, კოლლეჟსკი სეკრეტარი ჩიქოვი.

სენაკის უფლის შიდა: მომრიგებელ მოსამართლეთა ნადვარნი სოვეტნიკი ბერიძე; თანაშემწე მოსკოვის უნივერსიტეტის ნამდვილი სტუდენტი ტერ-სტეფანოვი.

ზუგდიდის უფლის შიდა: მომრიგებელ მოსამართლეთა ტფილისის უფლის სამსჯავროს ზასედატელი ტიტულიარნი სოვეტნიკი ლინიევი; თანაშემწე—სეკრეტარის სამაზრო სამსჯავროს სეკრეტარის თანაშემწე ბებენიანი.

შ. შოთში: მომრიგებელ მოსამართლეთა კოლლეჟსკი სოვეტნიკი ზუბალოვი.

მომრიგებელ მოსამართლეთა თანაშემწეების თანამდებობაზე კანდიდატებათ—კოლლეჟსკი სეკრეტარი მჯუბოვი, ტიტულიარნი სოვეტნიკი ამიროვი, რეალურ ლინიის მასწავლებელი ლოლობერიძე; ნამდვილი სტუდენტი პეტრბურგის უნივერსიტეტისა შლენტი, გუბერნიის სეკრეტარი ნეფედოვი და ძვეკასიის აქეთა მხარის საბრძანებლოს (პრიკაზის) დირექტორი შურცელაძე.

კავკასიის ამჟამ მხარის რეინის გზა.

„მოსკოვის მემომოსტებში“ სწერენ, რომ შოთისა და ტფილისის რეინის გზის საქმეზე პარიჟიდან კარგი ამბავი არ ისმისა. ამბო-

ბენ ეს საქმე ასეთი კაცების ხელში ჩაიკადა, რომ პარიჟში არც ერთმა ბანკირის სახლმა მონაწილეობა არ მიიღო, თუმცა ობლიგაციებზე თვითონ მმართველობა თანამდებობის ხმა ისმის, ვითომც ანგლის კონცესიონერს უ. პაეის (პაერს) დაეთმო ამ რეინის გზის გაკეთება ფრანკო-რუსებისთვის—შენიგნის და შანტისთვის. ამ უკანასკნელმა შეადგინა თავის დროზე საკვირველი ხაზი მრესაკებზე, რომლის გამოც მოხდა ამდენი სკანდალი, ასე რომ ბოლოს შრანციის მთავრობას უნდა ჩეშალა ეს საქმე; არც რომის რეინის-გზა გაუთავებია უკეთესათ. როგორც ამბობენ, ობლიგაციებზედაც ვერ მიდის კარგათ ხელის მოწერა: მაგალითად, ამსტერდამში ხელის მოწერა 10 მილიონ ფრანკზე შევიდა, ესე იგი მეოთხედი ნაწილის მეტი არ შესდგა.

ტფილისი. ტებერელის 6-სა 8 საათზე და 40 მინუტზე ტფილისში იყო დიდი მიწის ძვრა, მეორეს დღეს შუადღის შემდეგ 4 საათზე და 25 მინუტზე და აგრეთვე 6 საათზე და 50 მინუტზე ხელმეორეთ მიწა იძრა, მაგრამ ისე ძრიელ არა, როგორც წინა დღეს.

პოლიტიკა.

მეროპაში გაგრძელებული ხმები რუსეთის საზოგადოების მიმართობაზე აღმოსავლეთის (მსხმალეთის) საქმეში. Русский Инвалид-ში სწერენ მოვიცანთ ქვემოთ კორრესპონდენტისა, რომ ჩვენ მკითხველებს ვაჩვენოთ სასაცილო ნიმუში, თუ რა კორეზია მეროპის გახეთში რუსის საზოგადოების ჰაზრზე შესახებ აღმოსავლეთის საქმეებისა: პორრესპონდენტი, როგორც თითონ მკითხველნი დაინახენ, ძალიან გულდაჯერებით ლაპარაკობს მეტათ გაბედულს და სახიფათო ჰაზრებს. აი რასა სწერს კორრესპონდენტი ლონდონიდან Allemeine Zeitung-ში იანვრის 3 (15) „მონსტანტინოპოლიდან და მენიდან ხელახლად საფიქრებელი ამბები

არც მწერლები გვყავს იმის წარმომდგენი. ამასაც თავისი მიზანი აქვს. მწერალი მაშინ იბადება, როდესაც თვითონ ცხოვრება შეინძრება, როდესაც ატყდება კარგისა და ცუდის ბრძოლა ერთმანეთში და ამით თვითონ ცხოვრებას გაუმჯობესდება. რადგან ამისთანა ცხოვრებას მოკლებულია ტფილისის ქართველობა, ამისთვის არც იმის ახლა სურათი ბრწყინავს სცენაზე. ტფილისის თეატრის სცენა გაცოცხლებულია რუსული წარმოდგენით და ოპერებით. შველაზე შესანიშნავი ამბავია მასწავლებელთა კამიტეტის მოქმედება ტფილისში. ამისთვის ახლანდელ ქრონიკაში ჩვენ გვიან განსაკუთრებით ამ საგანს მივუძღვით ყურადღება. ძვეკასიის აქეთამხარის უმთავრესმა ინსპექტორმა ისურვა, რომ ზოგიერთ საგნებზე მასწავლებლებს შეეღწინათ კარგი პროგრამები გიმნაზიებში სასწავლებლათ. ამისთვის იმან მოუწოდა ამ ზამთარს ტფილისში სხვა გუბერნიებიდან ზოგიერთი ოსტატები კამიტეტის შესადგენათ. რომ შემდეგ ამ კამიტეტს შეემუშავებინა პროგრამები ბუნებითი საგნებისა; მერე ეს პროგრამები უნდა განხილულიყო საზოგადო კრებაში, სადაც მოუწოდებდნენ ტფილისის საზოგადოებას, რომ იმასაც მონაწილეობა მიეღო ამ საქმეში, გამოეცხადებინა, რა და რაშია თანახმა და ამასთან თავისი აზრი წარმოეთქვა ამ პროგრამებზე. ამ საზოგადო კრებებში ბევრი კარგი აზრი წარმოეთქვა და რადგან ჩვენს მკითხველებს ამ საგანზე არა უკეთხათ რა „დროებაში“, ამისთვის მე მსურს რომ ორი-ოდე სიტყვა წარმოვსთქვა განსაკუთრებით ამის თაობაზე. მეროპაში დიდი ხანია დარწმუნდნენ იმ აზრზე, რომ მინამ საზო-

გადოთ თვითონ ხალხი არ განათლებდა, სწავლით, რაც უნდა კარგი გამოგობა და სამართალი მისცე, მინც არა გამოცარა; ხალხის უფუნურობით კარგი სამართალიც უკუღმართათ მიდის და კარგს გამგობასაც ეკარგება თავისი ძალა. პარტი სამართალი და გამგობა მაშინ მოუტანს ხალხს სარგებლობას, როცა თვითონ ხალხს შეუძლიან იმის მოხმარება. ამისთვის საჭიროა ხალხის აზრდა, იმის ჭკუა-გონების გამდიდრება სწავლითა. ახლა საქმე ეს არის, რა საშუალება უნდა იხმაროს კაცმა ამისთვის. უნდა დააფუძნოს სკოლები და მიუჩინოს ხალხს მასწავლებლებნი, მაგრამ საქმე ამითაც არ გაკეთდა. მასწავლებლებნი ვერ ასრულებდნენ თავიანთს მოვალეობას. ისინი ასწავლიდნენ ყმაწვილებს, მაგრამ ჭკუა-გონების გახსნის მაგიერათ, ჭკუა-გონებას-უხშავდნენ შეუფერებელი სწავლებითა; განათლების მაგიერათ მესხიერებას უკარგავდნენ; მასასადამე მარტო სკოლების დაფუძნება და მასწავლებლებს მიჩენა არ ყოფილა საკმაო ხალხის განათლებისთვის. შფროსაქრო ისა ყოფილა, რომ მასწავლებლებს სკოლდოდათ, თუ რა რიგათ ესწავლებინათ. მასწავლებელს უნდა შეეტყო ყმაწვილის ბუნება და იმ რიგათ უნდა მოაპრობოდა, რომ იმისი ჭკუა-გონება თანდათან ევარჯისებინა, თან-და-თან მესხიერება აეხილებინა. ამის გამო საჭიროა იყო შესდგომოდნენ სწავლების კანონების გამოკვლევისა. მრავალი სწავლული შეუღდა ამ საქმეს და აქედან წარმოსდგა ახალი სწავლა, რომელიც შეიცავს კანონებს, თუ რა რიგათ უნდა ასწავლოს მასწავლებელმა მოწაფეს. აი ამ სწავლას ჰქვია „პედაგოგია“. რამდენათაც ხალხის განათლე-

ბა მიუცილებელი საჭიროებაა იმის კეთილმდგომარეობისათვის, იმდენათ პედაგოგის დიდი მნიშვნელობა ეძლევა ამ უკანათ. როცა ძველი რომაელები და ბერძენი მოიხსო, იმათი ალაგი დაიჭირეს მეროპის ხალხებმა, რომელნიც მაშინ ბარბაროსებათ ირიცხებოდნენ. თვითონ ეს ველური ხალხი იყო ბერძენის და რომაელების გაწყვეტის მიზეზი. ამ ხალხებთან დაიშარა ამათი განათლებაც. სახსოვრები, წიგნები ბევრი დარჩათ, მაგრამ ტყის კაცი წიგნის კითხვას არ დაეძებდა; მაშინ იმისი ხელობა რხმალი იყო და მკლავი ლონიერი. ამ ორი საშუალებით, როგორც იყო, თავს ირჩენდა მეტი არც იმას უნდოდა. მეროპის ხალხები დიდს ხანს დარჩნენ ამ პირუტყულს მდგომარეობაში. შრისტე შობის შემდეგ თუთხმეტ საუკუნემდის იმათ თითქმის არა შეეღებიათ რა. ამ ხნის განმავლობაში მეროპის სახელმწიფოებს იმდენათ გაეხსნათ გონება, რომ დაწინაურებულმა კაცებმა იცნენ ბერძენის და რომაელების დანარჩენი ისტორიული სახსოვრები, შეიტყეს იმათი დანატორი წიგნების აზრი; ერთის სიტყვით გაიგეს იმათი განათლება და მოსძებნეს იმათი სწავლა. მაშინ ვისაც კი ჰსურდა განათლებულიყო, უქვევლათ ბერძნული და რომაული ანუ ლათინური ენა უნდა ესწავლა. ამიტომ რომც დროს განათლება მხოლოდ ამ ენებზე იყო. აქედან შეუღდნენ მეროპის ხალხები ამ ენების სწავლას და ამ ენების სწავლებაც თავიანთ სკოლებში უქვევლათ უნდა შეეტანათ. ახლა მეროპის ხალხები ისე განათლდნენ რომ ძველი ხალხების განათლებას ბევრათ გადაამეტეს; მაგრამ ძველიდგანვე დარჩენილი ჩვეულება—ბერძნულის და ლა-

თინურის ენების სწავლისა—მინც არ მოუშლიათ. თითქმის ყველა გრძნობს, რომ ამ მკედარის ენების სწავლა სრულებით გამოუღებია, მაგრამ როგორც ვაგიგონათ, ჩვეულება სჯულთ უმტყიცესიაო. აქაც ისე მოხდა. ჯერ ჯერობით შემოხსენებულის ენების სწავლას არ დახსნიან. ამ უკანათ ამის თაობაზე დიდი ბასია მეროპაში. მართი მხარე ამტიკებს, რომ ბერძნულის და ლათინურის ენების უსწავლელობა არ შეიძლება, ამიტომ რომ ეს ენები გრამატიკულათ ძალიან შემუშავებულნი არიან და ამათი ლექსთათხზვის კანონების გამოკვლევა ძალიან ავარჯისებს ყმაწვილის გონებას; მეორე მხარე ამბობს, რომ რადგან ჩვენს დროში ბუნების მეცნიერება ძალიან შემუშავებულია და სწავლით გამდიდრებულია, იმისი სწავლება უფროც ვაუხსნისო ყმაწვილს გონებას; და ბევრს იმისთანა სასარგებლო სწავლას შესძენსო, რომელიც ცხოვრებაში უფრო გამოადგებაო. მანათლებს, რომელსაც სხვათა შორის ბერძნულის და ლათინურის სწავლება აქვს აზრში, იმ განათლებას კლასიკურს განათლებას ეძახიან. რომელი განათლებაც უფრო ბუნების მეცნიერებას ასწავლის და არ უნდა ლათინურისა და ბერძნულის სწავლება, იმას ეძახიან რეალურს განათლებას. რომელი მხარეც კლასიკურს განათლებას იცავს, იმას ეძახიან კლასიკებს და რომელიც—რეალურს განათლებას, იმას რეალისტებს. ახლა ჩვენ განვსჯათ რომელია იმათი მართალი და რომელი მტყუანი. უნდა ვთქვათ, რომ თითქმის არც ერთი წიგნიც არ დარჩენილა ბერძნებისგან და რომაელებისაგან დანატორი. რომ რომელსამე ევროპიულს ენაზე არ იყოს

მოდის საქმეების მდგომარეობაზე ღუნაის ქვემო ადგილებიდან (რომელიც რუსეთის საზღვართან ახლოს არიან). რუსულ გავრცელების ლაპარაკის კილო, აგიტაცია (მღელვარება) რუსის ემიგრაციისაგან (გაგზავნილ კაცებისაგან) მოხდენილი სლოგანებს და ოსმალოს ხალხში, რუსის აგენტების შემწეობით თოფი-იარაღის მიტანა ღუნაის მხარეში, რომლის მისატანათაც რუსული ექსპილდები ცდიდნენ. — სულ ეს იმის დასამტკიცებლათ მოაქვთ, რომ რუსეთს მტრული განზრახვა აქვს ოსმალეთის შესახებ. პეტერბურგიდან და ბერლინიდან დამამწვიდებელი ამბები მოდის. რუსეთის სატანტო ქალაქში მალალ საზოგადოების წრეებში დიდს გულმხურვალეობითა და აღტაცებითა ლაპარაკობენ, რომ შემწეობა უნდა მიეცეთ იმ ჩვენ მერჯულებსა, რომელნიც ოსმალს მფლობელობის ტვირთ ქვეშ დამწყდებულან და ამასთანავე ხონტკრის მმართველობაზე განკიცხვითა ლაპარაკობენ. ახალი ამ შემთხვევაში არა არისრა; მთელი საუკუნის განმავლობაში ყოველთვის ასე ყოფილა. რუსეთის სატანტო ქალაქის მალალ საზოგადოების მანდილოსნები ძალიან ყურადღებას აპყრობენ აღმოსავლეთის ქრისტიანების მდგომარეობასა და სარწმუნოებისათვის მიდრეკილებით. მხარს აძლევენ პოლიტიკურ პროპაგანდას, (*) რომელიც ოსმალს მმართველობის წინააღმდეგ არის მიმართული. მაგრამ ამ გვარი საქმეზე მოცულა ყოველთვის დედაკაცებს შეჭერის ხოლმე, რადგანაც რაკი საზოგადოებაში ვეღარ ახერხებენ ძველებურათ ბრწყინვალეობასა, სარწმუნოების საქმეებზე იკლიან ხოლმე. ბერლინიდამ მოსული ამბებით გეტყობინებენ, რომ ეს ყველა დედაკაციური ლაყობაა, რომელშიაც პოლიტიკურ მოღვაწე კაცებს სრულეობით მონაწილეობა არა აქვთ. მაგრამ რუსული სტამბა ამ ლაყობას ბანს აძლევს იმავე

(*) პროპაგანდა არის ერთი რამ ჰაზრების გავრცელება, ან საზოგადოება, რომელიც ხალხში აგრესიებს ერთ რასმე ჰაზრისას. პროფ განდისტი არის ერთი რამ ჰაზრების მომწინი, გამავრცელებელი, მოქადავე კაცი.

გადმოთარგმნილი, არც ერთი იმისთანა სწავლა აღარ იპოვება კლასიკურს ენებზე, რომ ევროპიულს ენებზე არ იყოს აღსნილი და გამოკლეული; მაშ ჩემის აზრით რაღა საქირაა ამ ენების სწავლა. არაინ იმ ენებზე აღარ ლაპარაკობს და არც ცხოვრებაში გამოსადეგი; მაშასადამე იპათი სწავლა ყმაწვილს ტყუილათ დროს წაართმევს. ის არა სჯობია, რომ ეს დრო ყმაწვილს მოახმარონ ბუნების მეცნიერების სწავლებაში და ბუნების კანონების შეგონებაში. ამასთანავე ასწავლონ ახლანდელი ევროპიული ენები, რადგან ეს ენები ყოველის მხრით ძალიან საქირაა ამ ქაზად. მე და შენ რომ გვკითხონ, მკითხველო, ამ რეალურს განათლებას ვამჯობინებთ, მაგრამ სხვანი კიდე სხვა რიგათ ფიქრობენ. ამ საგანზე რუსეთშიაც ატყდა დიდი ბაასი და ბოლოს ასე გადაწყვიტეს, რომ გაეხსნათ კლასიკური განათლების შკოლებიც და რეალური განათლების შკოლებიც: აი, ამის გამო მოხდა, რომ ჩვენს მხარეში ორ გვარი გიმნაზიები გახსნეს: რეალური და კლასიკური. ღღემდის მასწავლებელთ კრებაში ტფილისის დიდი ბაასი აქვთ ამ საგანზე. მართი მხარე უფრო რეალურს განათლებას უდგება, მეორე — კლასიკურს; მაგრამ ორთავე მხარეს კი მხედველობაში ესა აქვთ: ღიმნაზიაში ყმაწვილის გონება უნდა ავარჯისოსო. ღიმნაზიურს სწავლებას უფრო ის უნდა ჰქონდესო აზრში, რომ ყმაწვილს გონება აუხილოსო, და არა ისო, რომ რაც შეიძლება ბევრი სწავლა ჩაუდოს გოგრაში და ამათში არც ერთი კი საფუძელიანათ არ გაეგებოდესო. ღიმნაზიაში უნდა შეამუშავოსო ყმაწვილის ჰქუა-გონება და იმისი ნიჭი აღზარდოსო; ერთი-სიტყვით იმან უნდა

გვართ და ხალხში აღვიძებს იმ გვარ ხალხსა, რომ ნამდვილათ ოსმალსთვის მტრულია და რომლითაც რუსის მმართველობას შეუძლიან ისარგებლოს თუ შემთხვევამ მოითხოვა. მართის სიტყვით, რუსის მმართველობა თავის ძველს მიდრეკილებას თავს არ ანებებს და ისეთს არაფერს მხედველობიდან არ იცილებს, რომ შემდეგ ისარგებლოს ამ მიდრეკილების ჰაზრის ასასრულებლათ. მხოლოთ, რუსეთის სახელმწიფოს კაცნი იმ ჰაზრისანი არიან, რომ რუსეთმა ჯერ-ჯერობით უნდა დაზოგოს თავისი ძალა, რომ როდესაც საქირება მოითხოვს, ღონისძიება ჰქონდეს ვერცხლის მანეთებით და ჰარბაზნის სკოლა დაიწყოს. ამავე ჰაზრს ადგენენ დიპლომატები, რომელნიც მოწოდებულნი იყენენ ამ უკანასკნელ დროსა პეტერბურგში, თითქო მთელი საქვეყნო კრება იყოსო, და რომლებსაც წარუდგინეს სამი მემორანდუმი (წერილობა); ერთი თავადის ზორჩაიკისა, მეორე — გენერალის იგნატიევისა (რუსის ელჩისა ოსმალეთში), და მესამე — მედგენილი აღრე ყოფილ რუსის მინისტრისა. შინაურის და გარეთის რუსეთის პოლიტიკის პროგრამის განხილვის დროსა მიიღეს, რომ სჯობიაო ღონისძიება მიეცეს წარმატებისა მშეიდობიანათ და თანდათან სახელმწიფოს შინაგან ძალას; გარეთის პოლიტიკის შესახებ დასდეს რომ მოლოდინებაში იყენენ. ამ გვარი ამბებია პეტერბურგიდან და ბერლინიდან. — ღუნაის ქვემო ადგილებში, ანგლიის მმართველობის ჰაზრით, არა ვითარი საფიქრებელი საქმე არ არის. ამ ადგილებში ჰქუდზე კაცის ადგომაზე ფიქრი არ არის, რადგანაც ვიცით რა მცირე და მოუხერხებელი გზებია იქა. შემდეგ დროებში, როდესაც რკინის გზები გაკეთდება და გზებზე ჩქარი მოხერხებული მისვლა-მოსვლა გაიმართება სხვა-და-სხვა ადგილებში, საქმეები იქნება სხვა გვართა დაბრუნდეს; მაგრამ იმ დროდის, მანამ ეს მოხდებოდეს, კაი ხანი გავა. დასავლეთ მეროპის დიპლომატია მომავალზე შორს არ იხედება და დღევანდელს დღეზეა მოცლილი. ამ გვართა მოქმედებს ყველაზე უწინ ანგლიის მმართველობა, რომელიც

დაუმზადოსო ყმაწვილს ჰქუთი-ძალა, რომელიც შემდეგ მიიღებს კეთილს თესლს და განაყოფიერდება. ამ აზრითაც შედგინეს სასწავლებელი საგნების პროგრამები. ეს ორი წელია რაც მასწავლებლებმა უმთავრესის ინსპექტორის მოწოდებით, იწყეს მოგროვება ქ. ტფილისში ჰამთრობით, რომ სხვა-და-სხვა შესამეცნებელი საგნების პროგრამები შეედგინათ. წარსულს წელს შეადგინეს რუსული ენისა და ისტორიის პროგრამა. მანსაკუთრებით შესანიშნავი იყო საზოგადოებასი რუსული ენის პროგრამაზე. პროგრამის შემდგენელთ აზრი ის იყო, რომ იხმარონ საუკეთესო მეთოდა (სწავლების წესი) ყმაწვილების სავარჯისებლათ რუსულს ენაში. რადგან მცირე წლოვანი ყმაწვილი ნაკლებათ აზრობსო და იმისი გონების ძალა უფრო გარეშე საგნების გამოხატებაში გართულიო, ამისთვის საქირაა ენის მასწავლებელმა ეს სხვა-და-სხვა ნახული საგნები და იმათ შორის ურთიერთობრივი დამოკიდებულება გონების თან-და-თან მომეტებული ვარჯისობით ვრცლათ შესამინოსო. მასწავლებელმა უნდა ყურადღება მიაქციოს ყმაწვილის ჰქუა-გონებას და რის წარმოდგენა და შეგნება არ შეუძლიან, იმის კითხვას ყმაწვილი მოარიდოსო. მაგალითად ბევრია იმისთანა ჰგნარი საგანი, რომელი არც თვალთ დაინახება, არც ყნოსვით, არც სმენით, არც ხელის შეხებით არ იცნობა: ვთქვათ ამ გვარი სიტყვები: სიკეთე, ბოროტება, ჰგმმარი ტება, სული და სხვა. ამ საგნების წარმოდგენა და შესმენა ნორჩი გონებისაგან შეუძლებელია. მამ მასწავლებელი არც უნდა ელაპარაკოსო მოწაფეს ამისთანა საგნებზე. ჰოველი სიტყვა,

მელიც ხალხს იმდენათ უფრო მოსწონს, რამდენათაც ენერგიულ საქმეში არ ერევა. ანგლიის ეხლანდელის პოლიტიკურის პარტიების მოუტივებლობის დროს ანგლიის მმართველობას ღონის ძიება არა აქვს, რომ გრძელი ხნის და ძვირათ-დასაჯდომი რამ ასტეხოს. თუ რომ აბისინიაში გალაშქრება განჰკიცხეს ვიგებმაც და ტორუმაცა (*), რას იტყოდნენ ეს ტორები და ვიგები, რომ მეროპაში გაემართა ანგლიასა. ღორდი სტენლი (ანგლიის უცხო-ქვეყნის საქმეების ეხლანდელი მინისტრი) აღმოსავლეთის საქმეების შესახებ იმისთანა პოლიტიკას იტერს, რომ ელის რა მოხდებოა; რადგანაც სამ სახელმწიფოთა, (ანგლიამ, შრანციამ და აესტრიამ), რომელთაც მოაწერეს აპრილის ტრაქტატი 1856 წელსა, გადაწყვიტეს ნოემბერში ბარონის ბეისტის (აესტრიის პირველი მინისტრის) ღონდონში მოსვლის შემდეგ, რომ აღმოსავლეთის საქმეებში ერთათ იმოქმედონ, უნდა ვიფიქროთ, რომ შრანცია და აესტრია აღმოსავლეთის საქმეებში აგრეთვე მოლოდინებრივს პოლიტიკას დაიქვრენ. აესტრიის სახელმწიფო კანცლერის ბეისტის მოსვლის შემდეგ ღონდონში, ანგლიის მმართველობამ დიდს ენერგიით დაიწყო ხონტკრის ქვეშეგროვ კრისტიანების გამოსარჩლება. აესტრია ოსმალს მმართველობას არწმუნებდა, რომ ცვლილება მოეხდინა; ცდილობს, საქმე ისე წაიყვანოს, რომ თავის ქვეშეგროვ სლოგენებზე თავის მფლობელობას არა აენოს რა. ამის გამოთ ოსმალს მთავრობას (პორტას) არ აკლია რიგანი რჩევა; პორტა აგრეთვე თავისის მხრით არა ტუნწობს, რომ ყოველგვარი აღტქმა მისცეს თავის ქვეშეგროვ კრისტიანების მდგომარეობის გაუმჯობესობას. აქამდინ ოსმა-

(*) ვიგები და ტორები ანგლიაში პარტიებას ჰქვიან: ვიგები არიან თავისუფლების მოყვარენი და ხალხის მდგომარეობის ყველა გაუმჯობესობის მხარე უტირავთ. ტორები-შეადგენენ მეორე პარტიას, რომელიც ძველის ადითის მოზრეა, ახლის შემოღებულების და ცვლილების წინააღმდეგია, ანგლიაში ამ პარტიას არისტოკრატის (დიდაკობისა) და კარლის მხარე უტირავს.

რომელიც უნდა იყოს ნიეთიერი საგნის სახელი, წარმოდგენს ყმაწვილის თავში გაცნობილს საგანსა, რომელის სწავლის დროს კიდევ უნდა უჩვენოსო მასწავლებელმა; ამის შემდეგ ყმაწვილიც ჯეროვანათ შეიგნებოსო. მაშასადამე ყმაწვილის სიტყვიერება და მასთან გონებაც ჯერ, რა საგნებიც შინ და შკოლაში იპოვებოა, იმათი წარმოდგენით და ურთიერთი დამოკიდებულების შეგონებით უნდა ავარჯისონო. ამისთვის საქირაა ჯერ ადვილი მსჯელობით (суждение) ავარჯისოს იმისი სიტყვიერება და იმასთან აზრიც, მეგრე კი თან-და-თან გაადიდოსო სწავლება. მაგრამ ისე, რომ რაც წინათ დაუსწავლია მოწაფეს, იმათი ახალ გასაგებიც მიახვედროსო; მასწავლებელი ასეთ ნორჩათ უნდა ჰკითხავდესო, რომ მოწაფე მიხედეს ხოლმე ჯერეთ წეუმეცნებელს. ჰზსა. როდესაც ამ გვარი კითხვა მეგრეთი მოწაფე თავისთავა გააკცეს ხოლმე ახლს აზრს წინათ დასწავლის აზრის საშუალებით, მაშინ ამისთანა სწავლების წესს უწოდებენ სტენტიკურს მეთოდს (*). პატენტიკური მეთოდა საუკეთესო

(*) მთქვათ. მასწავლებელმა მასწავლებლის ექსი ვაშლი საგარეშე ღათ. მსწავლებელი. — ბაყავ რად ექსი ვაშლი. მოწვე გაწავთ. მსწავლე ელა. — მითო ნაწილში რამდენი ვაშლია? ეოწავე. — ს ი მსწ. — მითო ნაწილს რა ქვია? მოწავე. ნახვარი. მსწავლ. — მადვე ჰქვია მეორედი. ახლა ეს მითხარი ექსის მეორედში რამდენი ვაშლია? ეოწავე მამრე მიხედება და იტყვის „ამაია“; თუმ-

ლოს მმართველობა იმაზე ზრუნავდა, რომ თავის დროზე სახელმწიფო ვალი განდგინებოდა, რადგანაც ვადა სრულდებოდა. მალის ნახევარი ეხლა გადახდილია; დანარჩენი ვალის ნახევრის გადახდა სარწმუნო თავებობით არის შეგერებული. ამისთანა რიგიანათ ვალის გადახდა მორჩა-ანგლიელებში უფრო თანაგრძნობას აღვიძებს ოსმალეთისადმი ვირემც ყოველგვარი ჰატტი-გუმაილინი.

მიმოხილვა. რე. იხ. სა ანგლიის უცხო ქვეყნების საქმის მინისტრმა, ღორდმა, სტენლიმ წარმოსტქვა ბრისტოლში სიტყვა; შეეხო ყველა უპირველესს საქმეებსა, რომელზედაც ანგლიის საზოგადოებას ყურადღება აქვს მიქცეული. რასაკვირველია პირველი ადგილი უტირავს ირლანდიას და ფენიების აგიტაცია: მინისტრმა იმაზე უზარი არა სთქვა იმ ფაქტზე, რომ ირლანდიაში ძალიანი უკმაყოფილება და მცხოვრებთა ერთი ნაწილი, თუმცა მცირე, ანგლიის მფლობელობას ირლანდიაზე უყურებს როგორც შევიწროებას და არა როგორც კეთილისყოფას. ღორდ სტენლის ჰაზრით მმართველობა უქმათ არ უნდა უყურებდეს ამ მღელვარებასა და ვალი აქვს ღონისძიება იხმაროს და განარინოს სხვა და სხვა მიზეზი უკმაყოფილებისა, და მეორეს მხრით მმართველობამ არ უნდა გამოაჩინოს სისუსტე იმ კაცების შესახებ, რომელნიც ფიქრობენ წესის ძირიანათ გადაბრუნებასა და ცხადათ აჩვენებენ თავის მეცადინეობას შესწყვიტონ ანგლიისა და ირლანდიის კავშირი. „თუ რამდენსამე ირლანდიელს უნდა თავის ქვეყანაში დაამყაროს საყოფარო პოლიტიკური მდგომარეობა, სთქვა სტენლიმ, ვერასოდეს ვერ აპრულდენ ამას: იმათისავე სარგებლობისთვის ცხადათ და მტკიცეთ უნდა აღვიროთ ეს ქვემარტება, რომ თავს არ იტყუებდნენ. იმათ უნდა უთხრათ, რომ ჩვენ არას დროს არ მივახწვეთ რომ დავარღვეინოა. ღიდ-ბრიტნიის სახელმწიფოსა ნაწილებათ, რაღაცა ოცნების ჰაზრების გულისათვის, ჩვენ არ მიეცემთ ნებსა, ამგერ ნოქმედებასა იმ პრინციპების გულისათვის, რომელსაც უგუნურნი დიდებით ედა-

საშუალება არისო მოწაფის გონების გასახსნელათ, სთქვეს პროგრამის შემდგენელი ა. როდესაც ერთმა პროგრამის შემდგენელთაგანა გაათავა ლაპარაკი, წამოდგა ერთი პირი საზოგადოებიდან და დაიწყო, რომ ჩვენს მხარეში უმეტესი ნაწილი მოწაფეთა სულ ადგილობრივი მცხოვრებნი არიანო, რომელთაც შკოლაში შესვლის დროს რუსული არ იციანო; ამისთვის საქირაა, რომ დაბალს კლასებში რუსული ენის მასწავლებლებმა ქართულიც იცოდნენო და ახალი აზრის გაცვითის დროს, რუსული სიტყვები ადგილობრივს ენებზე გადაუთარგმნონო მოწაფეებს და ამათ გადავიდონო რუსული ენის სწავლა. ამის შემდეგ კამიტეტის თავ-მჯდომარემ სთქვა, რომ ძალიან ძვირათ მოიძებნებოან შკოლებში (მასთანა მოწაფენი, რომელთაც რუსული კარგათ არ იცოდნენო, მაშასადამე არც საქირაო, რომ რუსული ენის მასწავლებელმა ქართული იცოდესო...“ წარსულს წელს, როგორც ზევეთა ვსთქვით რუსული ენისა და ისტორიის პროგრამების შედგენით გათავდა პედაგოგიური ყრილოვანი; ამ წელს კი ბუნების საგნების პროგრამები იყო განსჯილი.

X — ელი. ცა მასწავლებელს არც კი უსწავლობია ესა. აი, როცა ამ სთანა კითხვით მასწავლებელი მიადგენს ხოლმე მოწაფეს ახალს აზრსა, მაშინ ამ სწავლის წესს ჰქვიან კატინტიკურს მეთოდსა.



ხიან ხალხობის წმინდა პრინციპსა. რასაკვირველია. ლორდ სტენლისაგან თუ არ ამის თანა, სხვა გვარის ჰაზრის გამოთქმას არც უნდა მოელოდებოდით. მაგრამ ზოგიერთი ფრანკიზული გაზეთები ცუდებრალით მოლაყებნი ვალათა რაცენ ამ ზემოხსენებულ სიტყვებზე მიხედნათ, როგორც პოლიტიკური ერესზე; ეს მაინც გასაკვირველი არ არის იმათის მხრით ყველასთვის ვისაც კი ახსოვს, რა მძინვარებით ქადაგებდნენ და ეხლაც ქადაგებენ რუსეთის წინაღმდეგ პოლშის გამო. მაგრამ თუ ესრეთ წოდებულ პოლშის საქმის აღდგინების დროს ანგლიის პუბლიკა უსარგებლოთ არა ხედავდა ამ გვარ დაღვრებისათვის ბანი მიეცა, ეხლა სრულებით ფიქრში არ მოსდის, რომ დაბრკოლდეს ამებში. ამ გვართვე საბედნიეროთ ჩვენში, რუსეთშია მმართველობის სიბრძნე და ხალხის გონიერობამ ადვილათ დაამარცხა უგუნური გაცეცხა, რომელსაც ჩვენდამო მტრული გაზეთები ახდენდნენ.

ლორდმა სტენლიმ თავის წარმოთქმულ სიტყვაში გარეგან პოლიტიკასაც შეეხა და იმის სიტყვას ეტყობა მშვიდობიანობის მოყვარობა. „მეროპას რომ მიხედვით, იმანა სიტყვა, მე უნდა აღვიარო, რომ თუმცა ომიანობისათვის საშინლათ დიდი მომზადებაა მეროპაში, მაინც მე არა მჯერია, რომ ამ მომავალ ხანებში მშვიდობიანობა დაირღვეს. ამ გვარის ომიანობისთვის მომზადებით თუმცა ხანდის ხან სხვა სახელმწიფოებს ეშუქრებთან, მაგრამ უფრო ხშირათ სახელმწიფოების ერთმანერთის მიუდობლობისაგან მოხდება და ყოველის შემთხვევაში სიფრთხილისათვის, სასურველია, რომ ეს ჰაზრი გამართლდეს საქმეებში. მაინც მშვიდობიანობის ხალისი ეხლა უფრო მეტობსა: ზოგი მიზეზებსაც არა ხედვენ, რომ ეჭვი შეიტანოს მშვიდობიანობის თან და თან დამყარებაზე, ზოგნი კი ამ დაუყრებას ჭეჭა-ჭუხილის წინა სიმშვიდესა აპარებენ; მაგრამ ერთი რომ არის შესანიშნავი, რომ მეროპის ოციოზური (მართველობის მომხრე) გზებით ერთმანერთს ეცილებიან ხალხის-გულის დამშვიდებაში. მეტადრე ეს ფრანკულულ გაზეთებს ეტყობა. რასაკვირველია, ღირებულათ ვაფასებთ იმათ მშვიდობის მოყვარობის გამოცხადებასა, მაგრამ ჩვენ (ესე იგი რუსეთი. ინვ.) არ შეგვიძლია არ შევნიშნათ, რომ ტყვილათ ახდენენ რუსის პოლიტიკის განზრახვასა და მოქმედებასა. მაგალითათ ერთი გაზეთი ვალათ რაცხს დაჯეროს, რომ ვითამ რუსის მმართველობამ ამ ხანებში თავისი პროგრამა არაულებით შესცვალა. ის ამბობს: „ერთ დროს ძლიან შეაფოთა პუბლიკა რუსეთის გაბედულობით როლის დაჭერამ აღმოსავლეთის საქმეებში. ამ გარემოებას შეეძლო მიზეზი მიეცა დაბრკოლებებისთვის, რადგანაც პეტერბურლის კაბინეტმა, რაკი გააღვიძა აღმოსავლეთის ქრისტიან ხალხებში მღელვარება, მზათ იყო თავისი დიპლომატიური საქმეში გარევა თოფი-იარაღით დაცევა. საფიქრებელი იყო, რომ რუსის ჯარი ძოსტანტინოპოლისკენ გაემართებოდა.“ ეს გაზეთი (France) აქებს ჩვენ მმართველობას, რომ თავი დაანება ომიანობრივს განზრახვას, მაგრამ ეს ქება სრულებით მეტია; რუსეთის მიზეზი არა ჰქონა, რომ თავისი მოქმედება, რადგანაც თავითგან ბოლომდის იმას ეტყუდა მშვიდობიანობის ჰაზრი. იმის მეცადინეობა სწორეთ იმას ადგა, რომ განეშორებინა დაბრკოლების მიზეზი მომავალში სახელმწიფოების მჭიდრო თანახმობით და ენერგიულის დონის ძიებითა, რომ დაემშვიდებინათ აღმოსავლეთის ქრისტიანე-მცხოვრებნი. ამ გვარი იყო რუსეთის პოლიტიკა ადრე — ამ გვარივე დარჩება ეხლა და გესურს, რომ ამის წინაღმდეგის დასამტკიცებლათ, France-მა მოიტანოს ერთი რამ ფაქტი, ერთი

რამ გამოცხადებული ჰაზრი ჩვენის მმართველობისა, მანამდისინ კი სრული სიმართლე გვაქვს, რომ სიძულილით მოგვეყრათ იმის თქმულობასა, რომელსაც საფუძველათ მოუხერხებელი ქორეაი აქვს.

შრანცი. მამაგრებული ბანაკი მერსალის ახლოს. იანერის ნიდგან პარიჟიდგან იწერებთან ნემეტურ გაზეთებში: „ამბობენ, რომ რაკი სენატი დამტკიცებს, ჯარის რეორგანიზაციის პროექტსა, იმერატორი გამოაცხადებს მანიფესტსა, რომელშიაც შრანციის მმართველობის პოლიტიკა შესახებ უცხო-ქვეყნის სახელმწიფოებისადმი იქნება გამოყენილი ისე, როგორც ნამდვილათ არის. ამ ხმების მიზეზათ ის ამბავი შეიქნა, რომ ნაპოლონმა მოინდომა, რომ სენატისა და სულთის-მდებელ კრების დეტუტაციამ ჩააბაროს იმერატორს ტულიერის სასახლეში დამტკიცებული პროექტი ჯარის რეორგანიზაციის კანონისა; ამ შემთხვევაში იმერატორი რაკი პასუხს იტყვის დეტუტატთ თავ-მჯდომარის სიტყვაზე, რასაკვირველია რ მდენსამე სიტყვას იტყვისა მშვიდობიანობის მოყვარობით. მაგრამ შრანციის მმართველობას ეს არ დაუშლის მერსალთან ახლოს, სადაც აქამდის დიდი იქნებოდა ხოლმე, ეხლა გამაგრებული ბანაკი გამართოს. ამ ბანაკის გასამართავათ მუშაობა დაიწყო ამ ერთი თვის წინათ; ეს ბანაკი დანიშნულია დასადგომათ არტილერიისთვის, პონერებისთვის და ინჟინრებისთვის. ბანაკს გაღვიანა არტყია კუთხეებში ბურჯებიანი და შესავალში კოშკებიანი; და დიდი ადგილი უჭირავს. მაგრამ მიზეზი არ არის, რომ მომავალ წელს შრანციის მხრით საფიქრებელი იყოს რამე. შრანციის მმართველობას მშვიდობიანობა უნდა ჰსურდეს, ამიტომ, რომ შრანციაში შემშლილი ჩამოვარდებოდა, თუ კი შერმანიდგან, აესტრიიდან და რუსეთიდგან ხორბლის შემოტანა შესწყდებოდა.

საბერძნეთი. ათინიდან ტელეგრაფით მიულიათ ანგლიურ გაზეთებს ამბავი, რომ კაროლს წარმოუთქვამს ქვემოხსენებული სიტყვა ახალ წელიწადს სახელმწიფოს რჩევის თავ-მჯდომარის პასუხათ; „ჩემი და დედოფლის გული სისხლით გვეცხება, რამდენ ათას ქრისტიანებს უყურებთ, რომელნიც საბერძნეთის დედა ქვეყანაში თავის შეფარებას ეძებენ. აღუხოცელი კანონი მშობისა და კატომოყვარებისა, ვალათ გვაძევს რომ რამდენათაც შეგვიძლიან შეუმსუბუქოთ იმათ ეს დიდი უბედურება. იმედო მაქვს, რომ მომავალი წელიწადი ბედნიერი იქნება გველილ წელზე“. ათინის გაზეთები გვიამბობენ, რომ ამ უკანასკნელ დროს კანდიის განდგომილება უფრო გაცხოვლდა. შრისტეშობის უკანასკნელ რიცხვებში სხვა და სხვა ადგილებში თოფიარაღით შეხლა მოხდა და კანდიელებმა გაიმარჯვესო. რუსის სამხედრო გემებს გადაჰყავს კანდიელების ოჯახები საბერძნეთში.

ბიორბი მუშაქაძის ცხობრება.

V.

შემოდგომა, გიორგობის თვის დამდგია. ბიორბი განარებულა; იმის სახლშიაც რაღაცა ხმაურობა და ქდავი-ქდუფილია. ზურნას და დაფას, დაირას და დიპლომატიკა გააქეთ კუივილი და რახა-რუხი. ამას ზედ დასამაშებენ მრავალნი ახალგაზრდა და ხნიერი ქალბიკა. სახლის ცალ მხარეში მოისმის ხმაგამული ბანიანი სიმღერა. ზოგან ერთი ერთმანეთს ჯიხვებით ღვინის სმას აძალადებენ. მასპინძელი ადგათ თავს და იძახის:

ალღეთ, შეიქცით, თქვენი ჭირიმე, ღვინის მოწყალეობთ ღვინო ბევრია, არ მოიწყინოთ. აგრე, თქვენი ჭირიმე, ახარეთ ქერი. მართი სიტყვით დღეს ბიორბის სახლში რაღაცა კარგი ამბავია; აქ ეხლა აღარაფერი თავის

დონეზე და ქერქში არ არის, დიდი ცვილილება. ამის მიზეზი განხლათ ბიორბის ქორწილი. ამას აგერ ოცდა ხუთი წელიწადი შეუსრულდა, მოსწინდა ბევრიხანი სახლის უპატრონოთ გდება და ითხოვა ახლო სოფლი-დამევე ერთი ბატონის კაცის ქალი მარიამ. მტყობოდა, რომ წლიულ რიგიანი მოსავალი ყოფილიყო, თორემ ბიორბის თუნდ ხუთი წელიწადიც არის, რაც ცოლის შერთვა აქვს გულში, მაგრამ უქონლობისაგან ვერ მოახერხა. ამ დროს ბიორბის სახლში იყენენ შეყრილინი მიიი დები სახლობით, დედლები, მამიდები სახლობითე და ყველა ნათესავები. ამის გარდა სოფლიდამაც ლამის ყველანი; ოციოდეც სიმამრიანთგან გამოყოლილი კაცები. ბიორბი ამ დღეს მოღბენილსა ჰგენდ, თუმცა კი სამწუხარო ბევრი რამ ჰქონდა.

ბიორბი შეუდგა ქორწილისათვის მზადებას. სახლის ღვინო, რასაკვირველია, არ ეყოფოდა და ოთხოდე საპალნე კიდევ იყიდა, დაქალა სამი ძროხა, ცხვრები, ინდოურები და ქათმები; შემდეგ გაემგზავრა ცოლმურთას ჯვარის დასაწერათ. საღამო ხანი იყო, რაცა მეფე-დედოფალი საყდარში მივიდნენ ჯვარის გადასაწერათ.

ღიკვანი დგას საყდრის კარებში გასადეებით, ბიორბი მღველს რაღაზედაც დიდ ხანს ელაპარაკებოდა; ლაპარაკი რომ გადასწყვიტეს დიკვანმა გაალო ეკლესიის კარი.

ჯვარის წერა გათავდა, მეფე-დედოფალმა ერთი ერთმანეთი ჩაკოცნეს, მაყრებმა შებეროს შემოსძახეს და გამოვიდნენ საყდრიდამა. მეორე დღეს დილით ისევე აღიონზე, შეკმაზეს ცხენები და გაემგზავრნენ ნ. სოფლისკენ, სადაც კარგი გაჩადებული სადილი მოელოდათ. მრი დღე გაბმული ღვინი და მეჯლიში იყო და მესამე დღეს კი დილით სტუმრები დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში.

მართი მიდის თავქვე ბარბაციოთ და ეუბნება მეორეს, რომელიც უფრო უარესათა ხლართავს ეფებებს:

— ბიორბის, თქვენმა გამარჯვებამ, კი ქორწილი ჰქონდა, ყველაფერი უხვათ და თავს საყრელი იყო, ყოჩაღ ბიქო, კი მასპინძლობა გასწია.

— ძაი მასპინძელი კი იყო, ეუბნება მეორე, მაგრამ ესე მალე გვირგვინის ადება მაინც არ შეგვენოდა მაგისთანა ოჯახის შეილსა. მეორე დღეს გვირგვინის ახლა მაგისთანა კაცისგან პურადვირობაა. შეძლება არა აქვს თუ, რას შურს ღვთის მიცემული?

— ახლა კარგი, შე მამაცხონებულო, ეგ პურადვირობის საქმე არ არის და, ეგ. ევლარა გამოიგონა რა და იქვე ბურქებში წაყო ცხვირი. ამას მიუტოლდა მეორეცა.

მართი სიტყვით, ბიორბის ქორწილზე ბევრი მადრიელი დარჩა, ბევრი უმადური. მაგრამ საზოგადოდ კი ის ისმოდა, რომ „კარგი ქორწილი გადინდაო.“

შორწილში, რასაკვირველია, ბევრი ჯურის ხალხი იყო შეკრებილი; ვინც კი სოფლათ მოიპოვებოდა, ყველანი აქ იყვნენ: გლეხებიც, აზნაურებიც, თავადებიც და სხვანი. აქ ბევრი გოგრა გაბრუვდა წითელი ნუნუათი და გამოშტრდა. ბევრიც გახურდა, აღიძრა, სისხლი აუღულდა და განხლდა. მამობრუებულნი, რასაკვირველია, უფრო ხალხნი არიან; იმათი წამალი ძილია, და გახურებულებისაგან კი მჭერთა ყველა ადამიანის შვილი იხსნას, მეტადრე თუ ამებს ხანჯალიც ზედ აკრავთ; უთუოთ საც-ლაობას მოახდენენ რამე.

— ალღეთ, შე ლაჩარო, ეუბნებოდა ერთი აზნაური თავისთან ახლო მჯდომარე შინდისელ კაცსა, რომელიც ქალს მაყრათ მოჰყოლოდა. ალღეთ თავს ნუ ინახებ, გიცნობ რა შეილიცა ხარ, მაგით თავს ვერ გადიჩენ.—

— ძაქო, რას ჩამომეკიდე, აღარ შემიძლიან, რა ჯიბრში მიდგებარ, იჯარით ხომ არა გავქვს აღებული ჩემი დათობა? მე უსუსტიკა-

ცი ვარ, ცოტაც მეყოფა, ბიბრუთ გახელები.

— ბიბრუთა რას მიქვიან? — ალღეთ, მამა მიცხონდა, თორემ არ ვიცი რამ თავზე დავასხავ, ან არა და კარში ვადი. მასუკან უნდა დიკვეხო, რომ ვერ დამათვრისო? ალღეთ, მამა მიცხონდა, თორემ არ ვიცი რასა ვიქ.

— ახლა ზოგი შენ თავს აპატყვი, რას მიხამ, გარეთ გამადგებ? — ალღეთ, მამაზე ადვილი რა არის, ოღონდ თავი დამანებე. ამ სიტყვებით იმან წამოიწია და მართლა გარეთ უნდოდა გასვლა.

ამ ქვეყაზე ნ. აზნაურმა ღვინით საესეჯამი პირში შეაშაპუნა, დასწია ჩოხის კალთასა და დასო ისევე ძირსა.

— სად მიხვალ რომ მიხვალ? ამისთანა მასხარათ ავლებს გგონია შეგარჩნეთ? დაჯექი, დალიე. მამა მიცხონდა, თორემ ამის მეტი აღარ შემიძლიან, მოთმინებლად გამოველი.

შინდისილებმა რომ ნახს თავიანთი სოფლილი ამისთანა შეურაცხებაში, აქ იქ დაიწყეს ჩოჩქილი და ყვედრება მეფისა.

— ძაქო, რაგინდა ჩემგან, დამანებე თავი, ეუბნებოდა შინდისელი დაჩაგრული კაცი, რა თათარით ჩამომკიდებინარ, სულს ხომ არ ამომართმევ? თუ შენ გინდა დალიე, ღმერთმა შეგარგოს, მე კი თავი დამანებე, ჩემი მოკვლა ხომ არ გინდა? ა კიდევ წამოიწია წამოსადგომათ.

— არ იქნება, უნდა დალიო თორემ აქედგან ცოცხლის თავით ვიღარ წამიხვალ, ალღეთ, თორემ მამა ჩემი არ წამიწყდება, ამ ლეკურს უყურებ? ა ამ სიტყვებით ნ. აზნაურმა იმიშვილა ხანჯალი და მოუქწია. შინდისილმა ხელი შეაშველა. იმას ხანჯალი თითებში მოხვდა და სულ ჩამოასხიდა. მეორეც მოუქწია, და რადგან ის წაქცევას ელაშობდა, ბარძაყში მოახვიდა. ხანჯალი კარგა ღრმით ჩაჯდა, მაგრამ იმის ბედზე რილ უშიშარად გილში მოხვდა და ამისათვის საენო არ იქნებოდა, თუ შინდისილს ეს ხანჯალი მეორით გულში არ ჰმტერებოდა. ბიორბიმ დაინახა თუ არა ეს ამბავი, რასაკვირველია, მაშინვე ჩამოეშველა და დაშოშინება უნდოდა. ამის შემდეგ ის იყო, რომ ერთ ორ ალაგას ხანჯალი ამასაც მოხვდა, თუმცა ძალიან კი ვერ დასჭრა. ბიორბი თავის თავის დაქრას ისე არა სჩივოდა, როგორც შინდისილი კაცის გაუტყუებას; ამ ნაირი საცოდაობის დაბრუნება იმის სახლში ძალიან შესაწუხარი იყო იმისთვის, მეტადრე უფრო იმიტომ, რადგან იცოდა რომ ეს მუქათ და უხიფათოთ არ ჩაუვლიდა. — ეს ამბავი, რომ მოხდა გათენება იყო და ღვინიც დაიშალა.

ამ დროს ამ მხარეს განაგებდა უ. ნ. — შვილი, რომელმაც ხელის გათფობა ძალიან იცოდა.

ამან რაკი შეიტყო ეს ამბავი, მაშინვე, რასაკვირველია, მოახდინა თავისებური გამოძიება. რადგანაც ეს უბედურება ბიორბის სახლში მოხდა ამისთვის, ისიც დამანაშავე გამოდიოდა, მაგრამ შემდეგ.

ბიორბი და ნ. შვილმა მოილაპარაკეს და საქმე მორიგებით გათავდა.

(შემდეგი იქნება).

„სასოფლო“

გ ა ზ ე თ ი

19 თებერვლიდგან ტფილისში გამოიცემა ქართულს ენაზე სახლობ ფურცელი, სახელად „სასოფლო გ ა ზ ე თ ი“. მასი მთელი წლისა გაუგზავნელათ 6 მანეთი, გაგზავნით 7 მანეთი. დაწერილებითი პროგრამა ამა ზანეთისა იქნება გამოცხადებული შემდეგ ნომერში.

რედაქტორი და გამომცემელი **გ. წარმთალი.**

ქართული

წაკრძობა.

დღეს 8 საათზე ქართულს ენაზედ წარმოდგება კომედია 5 მოქმედებათ. თ. აკ. წერეთლისა „ქმელსა და ახლს შუა“, თ. არჩილ მუხრანბატონის სახლში, მუხრანთან ხილთან. ბილეთები იყიდება „როგების“ რედაქციის კანტორაში და წარმოდგენის დროს იქვე თ. არჩილ მუხრანბატონის სახლში. მასი კრესლების 3. მ. და სკამების 2 მ.